

ბუნიაპუნა

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფლისის ქუჩაზე, მიქელაძის სახში. კანტორა ღიაა დღის 9-2 საათამდის, და საღამოს 5-8 საათამდის, კვირა-უქმე დღეების გარდა.

№ 168

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 168

გაზეთის ფასი:	
თვიურათ	3 მან.
ოთხი თვით	1 თუმანი.
ცალკე ნუმერი	3 შუერი.
განცხადების ფასი:	
პირველ გვერდზე პერიოდით ორს	9 მან.
უკანასკნელ გვერდზე	5 შუერი.
ქალაქ გარეგან მთელს დღე-ღამეობის ერთი თვით	1 თუმანი.
სამედიკო-განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებლისა, ნაშუადღევს 1 საათ. 6 მ. 1 საათის შემდეგ 8 მ.	

ღრმად დამუშავებული მეუღლე მარამ დავითის ასული ანდრონიკოვისა შვილებითურთ, დედა: მარამ გამბრიელის ასული ბალაბანოვისა და ანა გამბრიელის ასული ხარაზოვისა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას

ივანე გაბრიელის-ძის ანდრონიკოვისას, რომლის დაკრძალვა მოხდება 5 ნოემბერს, ნაშუადღევს 4 საათზე, (ძველი დროით) საფრინოს სასაფლაოზე. ცუდად გამოასვენებენ საკუთარ სახლიდან (ივანოვის ქუჩა). პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 5 საათზე, (ძველი დროით) დაკრძალვაზე მისაპატივებელი ცალკე ბარათები არ აღარავლება.

გულდამუშავებული მეუღლე ივანე (ვანო) ცქიტივილი შვილებით: მიტუშა და თამარა, დედა: ალექსანდრა ბაქრაძისა, შიკო გუნცაძისა, პელაგია გურგენიძისა, ანასტასია და ელისაბედ, ძმები: ნიკოლოზ და სამსონ **ალაფიძენი**, დედამთილი მარამ ცქიტივილისა, მახლი პავლე და მეუღლე მისი ნინა ცქიტივილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ უდროოთ გარდაცვალებას დაუწყევარ

ანა (ანჩკა) დიმიტრი ალაფიძის ასულის ცქიტივილისას. რომლის გამოასვენება მოხდება სამშაბათს 7 ნოემბერს, არქიელის გორაზე, საკუთარ სახლიდან წმინდა გიორგის ეკლესიაზე ნაშუადღევს 4 საათზე. პანაშვილები ყოველ დღე საღამოს 5 საათზე.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წვერად ჩაწერა, საწევრო გადასახადის შემოტანა და პარტიულ საქმიანებაზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დღის 8-2 და საღამოს 7-9-ზე პარტიის კანცელირიაში. თბილისის ქუჩა, ს. მიქელაძის სახლი, გან. ჩვენნი ქვეყნის რედაქციასთან.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ (წმულ-გამოღმა) უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმიანების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე ყოველ დღე დღის 11-2 საათამდის; თბილისის ქუჩა ქუთაისის საერთოერთო ცუცხლისაგან დამხლვევ საზოგადოების დარბაზში - სამსონ ბოკერიას სახლში. აქვე შეიძლება პარტიული პროგრამებისა და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის წყალ-გაღმა უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ პარტიაში ჩაწერა და საქმიანების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება კომიტეტის ბინაზე, ყოველ დღე დღის 10-1-ზე და საღამოს 5-8-ზე, ორპირის ქუჩა, დიმიტრიძის სახლი, რუსების 2 დამხლვევ საზოგადოების სააგენტოში. იქვე დაარსებული სამკითხველო პარტიის წევრთათვის, სადაც შეიძლება პარტიის პროგრამის და ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვ.-დემოკრატიულ პარტიის ოზურგეთის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ ქ. ოზურგეთში დაარსდა პარტიული ორგანიზაცია. წვერად ჩაწერა და პარტიულ საქმიანებაზე მოლაპარაკება შეიძლება გერმანე ვოკატიძისთან. მისთანვე შეიძლება პროგრამის და პარტიულ ლიტერატურის მიღება.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ხიდისთავის კომიტეტი (გყურია).

ამით აცხადებს, რომ წვერათ ჩაწერა და პარტიულ საქმიანებაზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დღის 10-2 საათამდე კვირა-უქმე დღეებზე 2-5 საათამდე პარტიის კლუბში.

ხელის მომწერთა საყურადღებოთა

გან. ჩვენნი ქვეყნის კანტორა სთხოვს ხელის მომწერთ, რომელთაც ვადა გაუთავდა ან უთავდება დროზე შემოიტანონ ხვედრი ფული უკიდურეს შემთხვევაში კანტორა იძულებულ იქნება შესწევტილს გაზეთის გაზენა.

კვირას, 5 ნოემბერს ს. ბანძაში დღის 11 საათზე და ძ. ახალ-სენაში საღამოს 7 საათზე

ვასილ წერეთელი წაივითხავს ლექსიას

შემდეგ თმზე: „ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პროგრამა, დღევანდელი მომენტი, არჩევნები დამფუძნებელ კრებისთვის და საქართვება ქართული ეროვნული ურილობის მოწვევისა“.

დასწრება შეუძლია არა წვერთაც. ლექსის შემდეგ შეიძლება სხვა და სხვა კითხვების მიცემა.

საქირონა გამოსული კორესპონდენტი

პირობების გაგება შეიძლება გან. ჩვენნი ქვეყნის კანტორაში.

ძმ. ყოროლოძეების მალაზიაში (მიხეილის ქუჩა საკუთარი სახლი)

მიღებულა სხანის სმდა და სხანისთვის ქონის მავიერი საშუალებები „შირონი“, აგრეთვე ეოველივე მისთვის მსხალეები, ფსვები ზომიერად.

ქართველთა სამხედრო კავშირი (ქუთაისის განყოფილება).

ამით აცხადებს, რომ კავშირში წვერად ჩაწერა შეუძლია ყველა ქართველ მხედარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხედრო ექიმებს და სამხედრო მოხელეებს). არა სამხედრო პირთ შეუძლიათ დამხმარე წვერად ჩაწერა. კავშირი უპარტიაო. კავშირს აქვს თავისი სამკითხველო, სადაც სწარმოებს წვერად ჩაწერა და შეწირულება მიიღება დღის 8-2 და საღამოს 5-9 საათამდის.

მისამართი: ქუთაისი, ვორონცოვის ქუჩა, ქართველთა სამხედრო კავშირი:

ქიმი ვალერიანე მ. ლორთქიფანიძე იღებს შანგანი, ბაჟთან და სერაგების სხეულებით ავთოპოფებს ყოველ დღე დღის 11-2 სათ. საღამოს 7-9 ს. ზუგუნის ქუჩა, ვატუშინის სახლი

ქიმი მ. ი. გომიძე ელექტრონიკა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენეროლ ავთომოფთის. ავთომოფი მიღებთან დღის 8-12 სათ. და საღ. 6-8 სათ. ალექსანდრ. ქ. საკუთარი სახ.

ქიმი ფაბა აკოპიაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნულ. ავადმყოფთ დღის 12-2 და საღამოს 5-7. მისამართი: თბილისის ქუჩა, № 46. ტელფ. 87.

განცხადება. ქუთაისი, გოსპიტლის ქუჩა, კვიციანის სახლი, მიხეილ კაშის ნიმართეთ ვისაც თვალები გტკივთ ანუ თვითი გაცეთ გადაკრული, რომელმაც მე მომარჩინა თვალის ტკივლით დაბრმავებული ბავში უპატივით. ამისათვის ვაცხადებ, ვწერ მაღლობით და პატივისცემით ვარღამ ჯანელიძე.

როგორ მოვიხსნათ? დღეს მთელი რუსეთი არჩევნების ფერბულში ჩაბმული. საქართველოშიც მოორიგის საკითხი დამფუძნებელი კრებისათვის წარმომადგენლების არჩევა. ერთი შეხედვით ყველგან ერთგვარი სულითქმა უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროთ ასე არ ხდება. სხვა ერები სხვანაირათ ემზადებიან და ჩვენ კი სხვანაირათ. დღეს მთელი დასავლეთი ევროპის ერები თავის ეროვნულ ინტერესებს თავგამოდებით იცვენ, მსოფლიო ომის ტალღებში თავის ეროვნულ პრინციპს მისდევენ და პირველ ადგილზე თავისი ტერიტორია და ეროვნული იდეალი წამოაყენებენ. მართალია, სავრთობა რომ ავიღოთ, რაღაც

ეროვნული გამოფიზიოლოგის ხანა; ყოველგან ეროვნული იდეალი დაისახა და მთელი სამშაო და საგარეო პოლიტიკა ყველგან ეროვნულ პრინციპს ემსახურება. რუსეთის სახელმწიფოს ერებიც თანდათან ირყევინ და თავის ეროვნულ მოთხოვნებს ავსჯარად აქვეყნებენ. ამ მხრივ საწუხარო გამოწავლის შევადგენ ჩვენ, ქართველები. აქ მთელი ერთი პარტიებთ დაყოფილა და ყოველი ჯგუფი თავისი მიმართულების გასავრცელებლათ და განსაზღვრებლათ ზრუნავს. სამი მილიონი ქართველი ომში-ხუთი მიმართულების წარმომადგენლებს არჩევს. პარტიული განსხვავება ჩვენში არის და შესაძლებელია აწიკ დარჩეს, მაგრამ ეროვნული საკითხის დასმში პარტიული მიდრეკილება სწორეთ შეუწყნარებელია. რომ არ ყოფილიყო პარტიული არჩევნები, კარგი იქნებოდა, მაგრამ რადგან ხდება, ამის გაზვიადება და ამის ხელზე დახვევაც საქმის დამამხობელი იქნება. დღეს ერთი რამ და შეიძლება, ეს ის, რომ არჩეული წარმომადგენლები შეერთდნ და ეროვნული პროგრამა სავრთო ძალიანთ დაიგვან. შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფიდან არჩენს დეპუტატები, შესაძლებელია სახლში სხვადასხვა კარები შემოვიდნ მუშაენი, მაგრამ აუცილებელია, რომ მათ ერთ შინაგან უდარჯონ და ერთ საქმეს თავს უტრილონ.

დღევანდელს პირობებში მოწვეული რუსეთის დამფუძნებელი კრება იძულებული იქნება პირველ კარდინალურ საკითხათ ეროვნული საკითხის არსებითად გადაჭრა დაისახოს, რუსეთში მცხოვრებ ერთა განთავისუფლება და მათი უფლების დირეტული დეკლარაცია რუსეთის იმის განსაცდელისგან, მომხდარ ზარალს მოაწვდინებინ და სიმელო მომავალს დაუსახავს, წინააღმდეგ შემთხვევაში-თუ ეროვნული საკითხი რუსეთში ცუდათ გადაწყდა, რუსეთი დაღუპვის გზებზე დადგება და მის ერთგვართა ძალი ვერ იხსნის. ეს

აზრი რომ რუსეთის დამფუძნებელმა კრებამ გაიგოს, ამისთვის საჭიროა, რომ ყოველმა ერმა დამფუძნებელ კრებას წარუდგინოს ერთი საფუძვლიანი პროგრამა, ეროვნულ თვითგამორკვევის ნიადაგზე აშენებული. პროგრამის შინაარსი და კილო მისი წარმოთქმისა და დაბეჭდვის ცხადით უნდა უკანახებდნ მსმენელთ ასრულების აუცილებლობას. ასეთი პროგრამის წარდგენა გვმართებს ყველს და მათ შორის ჩვენც, რადგან ჩვენ სხვანეტი თუ გვაქვს სათქმელი, თორემ ნაკლები არა.

სად დარწმუნდნ ასეთი პროგრამა? უსიუოდ ეროვნული საბჭოს სხობაზე. ეროვნული საბჭო, რომელიც უმკველათ წინასწარ უნდა გამოართოს თვლისში შედგენს პროგრამას და ტენიკურ გეგმასაც დასახავს. ეროვნული საბჭო უნდა იქნეს დასაწყისი განახლებული საქართველოს ცხოვრებისა, აქ უნდა დაიდგას საფუძვლიანი განთავისუფლებული საქართველოს ცხოვრებისა.

იყოს პარტიული არჩევნები, მოხდეს ჯგუფური გამოსვლები, მაგრამ მხოლოდ აქ-საარჩევნო მუშაობის დროს; იყენს პარტიული წარმომადგენლები, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, რომ მათი ძალა ფორმა ეროვნულმა საბჭომ დასახოს და ეროვნული პროგრამაც იმ საბჭომ ჩააბაროს. ამ პირობის დარღვევა და ჩვენი პოლიტიკური სიკვდილი ერთი იქნება.

დემეტრან გვაშოროს ეს მარცხი!

ტრიფონ ჯაფარიძე

კომუნისური პრესაპრობლემა. ყველა დარწმუნებულია, რომ ამის დასრულების მერე ძირიან ფესვიანად შეიცვლება ეკონომიურ ცხოვრების ურთოეთობა და აღდგ-მიცემის საფუძვლები.

აწინდელ მსოფლიო ომის აღმოცენების მთავარ მიზეზათ ეკონომიურ მეტაქეობას ასახელებენ. ძლიერი სახელმწიფოები ზღვა სისხლს ღვრიან სხვადასხვა ქვეყნების ბაზრების დასაპყრობათ. ჯერჯერობით ახლო აღმოსავლეთის ბაზარს გერმანიეთი ეუფლებოდა. შევიღობიანობის ჩამოგდების შემდეგ რუსეთის ბაზარი, მეტად უნდებოში მდგომარეობაში ჩავარდნა.

საკუთარი წარმოება მოსაბოილია, ხოლო ის, რაც მთავარ მოსახლ მიცემო მხარეს წარმოადგენდა რუსეთისთვის ე. ი. პური ომის გამო ნაკლები მოჰყავთ და უცხოეთში გასაზიდი კარგა ხანს არ ექნებათ. რუსეთის ბაზარი სავსებით რომელიმე დიდ სახელმწიფოს დაქვემდებარება, რუსეთს დაღდას დასაქირდება ვარედან შემოხილულ საქონლით ცხოვრება.

უცხოელები შეეცდებიან, რომ რაც შეიძლება მაგრათ ჩასქილან ხელი რუსეთის ცხოვრების ეკონომიურ მხარეს და მტრი სარკველობა ნახონ. როდესაც ეთვლისწინებთ აშევა პერსპექტივებს, განსაკუთრებული მდგომარეობა იქნება ჩვენთვის ქართველებისთვისაც. თუ ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას არ დავმეტრონეთ, მისი განვითარება იურიდიულ უფლებით არ უზრუნველვყავით, მაშინ უცხოელთა საფრთხეა, რომელიც რუსეთის ემუქრება, მეტად საგრძნობი იქნება საქართველოსთვის. ამ მხრიან ბევრი რამის გაკეთება გვჭირია. ყოვლის უწინარეს საჭიროა ქართველ ეკარ მრეწველთა მტკიცე შეკავშირებობა განახლება. ეს უნდა მოხდეს საქართველოში. ამის წინათ თბილისში მოწვეული იყო ამიერკავკასიის გაქარ მრეწველთა კონფერენცია.

